პერსონალურ მონაცემთა დაცვა სოციალურ მედიაში ევროკავშირის სამართლისა და პრაქტიკის მიხედვით

სალომე ჭიკაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

ხელმძღვანელი: თამარ კორძაია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2024

განაცხადი

„როგორც წადგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მოღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ჭიკაძე
25 ივნისი 2024 წელი”

აბსტრაქტი

დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი მონაპოვარი არის - ადამიანის უფლებები და მისი დაცვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაა, რაც თავის თავში ძალიან ბევრ სამართლებრივ ასპექტს მოიაზრებს, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვას, რომელიც განსაკუთრებით დაუცველი ხდება სოციალურ სივრცეში.

მოცემულ ნაშრომში სრულად არის შესწავლილი ის ძირითადი სამართლებრივი ბაზა, რომელიც ევროკავშირში არსებობს. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაჩნდა სურვილი იმისა, რომ დამყარებულიყო კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და სოციალური გარემო. ამ მიზნის მისაღწევად ევროპის საბჭომ 1950 წელს მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ხოლო, მონაცემთა დაცვა ევროკავშირის კანონმდებლობაში პირველად მონაცემთა დაცვის დირექტივით მოწესრიგდა 1995 წელს. ეტაპობრივად შეიქმნა არაერთი დირექტივა თუ კონვენციები, რომლებმაც განსაზღვრეს მონაცემთა სუბიექტის უფლებები და შესაძლებლობები. 108-ე კონვენცია, რომელიც პირველი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც იურიდიულად სავალდებულოა და იცავს ფიზიკურ პირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. ასევე მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია GDPR, რომლის წინამორბედი არის მონაცემთა დაცვის 1995 წლის დირექტივა, საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს აწესებს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დასაცავად. ის აწესებს მოთხოვნებს წევრი სახელმწიფოებისთვის, რათა დაიცვან რეგულაციის მიერ დადგენილი პრინციპები. ეს პრინციპები კი უზრუნველყოფს, რომ დაცული იყოს მონაცემთა სუბიექტის უფლებები, როგორც ევროკავშირის ტერიტორიაზე დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე მის გარეთაც. ამისთვის შეიქმნა საზედამხედველო ორგანოები, ასევე მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტი. სასამართლო ორგანო კი, სამ საფეხურიანი ტესტის საფუძველზე ძირეულად განიხილავს თითოეული უფლების დარღვევას და აფასებს, რამდენად სრულდება ევროკავშირის კანონმდებლობის მიერ დადგენილი წესები და ვალდებულებები.

მოცემულ ნაშრომში, ასევე განხილულია სოციალურ მედიაში ყველაზე აქტუალური პრობლემები. ესენი უკავშირდება მარკეტინგული საქმიანობის მიზნებს და Online

Shopping-თან დაკავშირებულ რეალურ რისკებს. მაგალითისთვის, შესწავლილია დღეს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულიი აპლიკაცია Temu-ს უსაფრთხოება. მათ შორის განხილულია საკმაოდ გავრცელებული - სახის ამომცნობი სისტემები, რომელიც პირის ბიომეტრიულ მონაცემებთან არის დაკავშირებული. სოციალურ მედიაში ყველაზე გავრცელებული TIK-TOK-ის მაგალითის განხილვა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სოციალური პლატფორმები უამრავ მონაცემებს აგროვებენ, რაც თუ არ მოექცა შესაბამისი რეგულაციების ფარგლებში, არღვევენ მონაცემთა სუბიექტის უფლებებს.

დოქტრინალური კვლევის საფუძველზე მოხდა საკვლევი საკითხის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლას. ასევე ანალიტიკური კვლევის მეთოდი, რომელმაც კარგად გამოკვეთა რაციონალური დასკვნის გამოტანისთვის საჭირო საფუძვლები.

მიუხედავად უამრავი მცდელობისა, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს საკანონმდებლო დონეზე წლების განმავლობაში, მაინც ირღვევა მონაცემთა სუბიექტების უფლებები. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირში დაცვის ეფექტური მექანიზმი არსებობს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციებს მოეთხოვებათ რეგულაციების დაცვა. უფლების დაცვის უზრუნველყოფას ახორციელებს, როგორც ბუდაპეშტის კონვენცია, რომელიც კიბერდანაშაულის წინააღმდეგ მოქმედებს, ასევე უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ცნობილია ციფრული ბაზრების აქტისა და ციფრული სერვისების აქტის სახით. მონაცემთა დაცვის პროცესი კი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და შეესაბამებოდეს მას. ამისათვის ნაშრომის ბოლოს მოცემულია რამდენიმე მოკლე რეკომენდაცია.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემები; მონაცემთა სუბიექტი; სოციალური მედია; ინტერნეტი; უფლებები; ევროპის კანონმდებლობა.

Abstract

Human Rights and its protection is one of the mist significant achievement of the democratic society. Inviolability of the personal life is of a substantial importance, which implies many legal aspects. Including, protection of personal data, that becomes especially unprotected in the social area (media).

Thesis fully examines the Eu's legal framework. Only in the past century, after the second world war, appeared a wish to have rule of law, democracy, human rights and social environment. In order to achieve this aim council of Europe in 1950 adopted European Convention on Human Rights. In the EU's legal framework first regulation of the personal data took place in 1955. Step by step number of directives and conventions were adopted that established the rights and possibilities of the subject of the personal data. Convention 108, which is the first legally binding international document that protects the processing of individuals personal data. GDPR also personal data regulation, whose predecessor was the 1995 personal data directive, sets out strict requirements for the protection of the rights of the subject. Latter sets out requirements for the member states in order to protect principles set out in the directive. This principles makes sure that human rights are protectes not only based on the information processed on the territory of EU but beyond it. For this supervisory organs, as well as the personal data protection officer institution. Judiciary using the 3 step test analyses violation of the ach right and assesses whether or not responsibilities and obligations established by EU's legal framework is complied with.

In the thesis, the most pressing challenges of social media are also discussed. These relate to objectives of marketing activities and risks associated with online shopping. For instance, the security of the world-renowned application Temu is explored Among them, fairly common - face recognition system, that is connected to individual's biometric data. Discussing the example of Tik-Tok once again confirms that social media platforms gather a lot of data, which if not regulated, are violating individual's rights.

Doctrinal research method was used for the study of legislation and case law, while analytical research method clearly outlined the bases for making a rational conclusion. Despite number of efforts made by the European Union in the sphere of legislation, the rights of data subjects are still being violated.

Difference is that EU holds the effective protection mechanism through which organizations are required to comply with the regulations. The right is protected by both, Budapest Convention against cybercrime as well as by the recent legislative changes, known as the Digital Markets Act and the Digital Service Act. The process of data proceptions must persistently evolve and adapt to the development of technology. To this end number of recommendations are set out at the end of the thesis.

Keywords: Personal data; Data subject; Social media; Internet; Rights; European legislation.